№ 232 8 ნოემერი, ხუთშაბათი 1866—1879 8 ნოემბერი, ხუთშაბათი № 232

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათის გარდა

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე 1½ კაპ., ჩვეულებრივის ცეროოთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ორი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ორი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 ნოემბრიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით—ორი მანეთი.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სტამბოლი, 4 ნოემბერს. სულთანმა დაამტკიცა პორტისაგან (მინისტრისაგან) წარდგენილი პროექტი იმ რეფორმებისა, რომელნიც ოსმალეთის ევროპიულ პროვინციებში უნდა იქმნეს შემოღებულნი. ყოველს პროვინციაში დანიშნული იქნება ცალკე კომისია, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს ამ რეფორმების რიგიანად შესრულებასა. ხონთქარმა დაუმტკიცა აგრეთვე მცირე აზიაში შემოსაღები რეფორმების პროექტი, და დათანხმდა, რომ მინისტრები პასუხის მგებელნი იყვნენ თავის მოქმედებაში.

ოსმალის ინგლისელმა ელჩმა მუსურუს ფაშამ ტელეგრამით აცნობა თავის მმართველობას, რომ მარკიზ სალისბერი დაკმაყოფილებულია ოსმალეთის მოქმედებით; სალისბერი დარწმუნდაო, რომ ტყუილი და უსაფუძვლოა ის აზრი, ეითომც რუსეთსა და ოსმალეთს შუა მეგობრული კავშირი დამყარდაო.

პეტერბურღის ბირჟა, 5 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის	— 94—	8
მეორე — — —	— 93—	12
მესამესი — —	— 93—	50
მეოთხესი — —	— 93—	„
ალმოსავლეთის პირ.	— 90—	50
ალმოსავლეთის მეორე	— 90—	„
ალმოსავლეთის, მესამე	— ——	„
ოქრო, ½ იმპერიალი	— 7—	87
გირაოს ფურცელი	— ——	„

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის—	— 228—	50
მეორე სესხის —	— 224—	„

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	25—	18	პენსი
ბამბურღი — —	216—	50	ცენტი
პარიჟი — — —	268—	„	სანტიმი
ვენა — — —	129—	„	ჰფენიგი
ქავკასიის კერასინი	—	—	—

საქართველო

ქალაქის რჩევის სხდომა

5 ნოემბერს

უფ. სეკტრეტრის იზმაილოვისაგან გავლილი სხდომის ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, პირველი საგანი, რომელიც უნდა მოელაპარაკნა რჩევას, იყო უფ. თფ. ღუბერნატორის წინადადება ქალაქის გასუფთავების (ასსინიზაციის) თაობაზედ. ამ საგნის შესახებ ალმოჩნდა, რომ ამ ორი წლის განმავალობაში ქალაქს თავის მხრით 37 ათასი მანეთი დაუხარჯავს ასენიზაციისათვის და ხაზინასაც ამავე მიზნით 34 ათასი მანეთი შემწეობა მიუცია ქალაქისათვის.

უფ. ღუბერნატორის წინადადება ცალკე კომისიას ჰქონდა მინდობილი, რომელმანც ამ სხდომაზე წარმოადგინა თავის აზრი; ეს აზრი მდგომარეობს იმაში რომ, რადგან ქალაქს ამ ჟამად იმდენი ღონისძიება არა აქვსო, რომ ყველა მოთხოვნილება უფ. ღუბერნატორისა შეასრულოს, ამისგამო იმას მხოლოდ შეუძლიან, დანიშნოს ფული ეგზარხოსის სახლთან რომ მტკვარზე ჩასავალია, და წყლის ამოსაღები, ის ადგილი ქვით მოჰგოს და გააკეთოს, და გამართოს აგრეთვე მტკვარზე, საცა უფრო წყნარად მიდის წყალი, ხის ხიდი, რომლადამაც სუფთა წყლის ამოღება შეიძლებოდეს.

შემდეგ რჩევამ განიხილა ბამგეობის წინადადება იმის თაობაზედ, რომ სპიტორის ქუჩაზე მყოფი საქალაქო სახლი შეაკეთონ და ამას გარდა რუსის ბაზარში და ალაბრის მაედანზე გამართონ პატარ-პატარა ხის დუქნები გასაქირავებელათ; მაგიერად ყველა სტოლები, ბუდკები, კარვები და სხვ., რომელნიც ამ მაედნებს ამახინჯებენ, უნდა მოიშალოსო. ეს წინადადება რჩევამ მიიღო თუმცა დიდის გაჭირვებით.

რჩევამ დაამტკიცა აგრეთვე, რომ ტრაქტირებს, სამიკიტნოებს და პასტაიალ დვორებს ისევ გადასახადი დაედვათ, რაც წელსა აქვთო.

უფ. ხმოვანის ნიკოლაძის წინადადება მდგომარეობდა იმაში, რომ ქალაქის რჩევამ ითავოს და შეისყიდოს 35 ან 40 საქენი სიფართოე ადგილი სომხის ბაზრის თავიდამ (უფ. ტერ-ასატუროვის სახლიდამ, ერევნის მაედანზე) და ამნაირად გაიყვანოს კარგი ფართო ქუჩა ერევნის მაედნიდამ აბანოებამდინ. ხსენებული 35 საქენიდამ საკუთრივ ქუჩისათვის შეიძლება 5, 6 ან მეტი საქენი დარჩესო და დანარჩენი კი ქუჩის აქეთ-იქით ნაპირებზე რაც თავისუფალი ადგილი დარჩება გავყიდოთო და ამით ქალაქს მოგება დარჩებაო. შეიძლებაო, რომ ჯერ რამდენიმე საქენი ვიყიდოთ სიგრძით, მერე ქუჩა რომ გაკეთდება და ადგილი გაისყიდება, ამის შემოსავლიდამ კიდევ შემდეგი მანძილი შევიძინოთო და ამნაირად ცოტ-ცოტათი მთელი ეს ქუჩა გავიყვანოთო.

ამ მიზნის აღსასრულებლად უფ. ნიკოლაძე ურჩევდა ქალაქს სესხის აღებას. მომეტებულ ნაწილ ხმოვანებს ეს პლანი ერთობ მძიმე და შეუსრულებელ პლანად ეჩვენათ და ცოტახანი ბაასის შემდეგ უარი განაცხადეს იმის შესრულებისათვეა კომისიის დანიშვნაზე, რომელსაც უფ. ნიკოლაძე თხოულობდა.

ლიტერატურა

*** „თფილისის მოამბე“ გვაცნობებს, რომ თფილისის სასულიერო სემინარიის ახალ რექტორად ინიშნება

ქალუგის სემინარიის რექტორი მ. არხიმანდრიტი მისაილი და ინსპექტორი უფ. ქუეშინსკის მაგიერი კი სემინარიის ბამგეობამ და სამღვდელოებამ უნდა ამოარჩიონ. უფ. ქუეშინსკი, როგორც ამბობენ, პერმის (ციმბირის ქალაქია) სემინარიის ინსპექტორად დაუნიშნავთ.

*** ამბობენ, რომ „პირუტყვთა დამცველი თფილისის საზოგადოება“ მართავს საზოგადო ლექციებს შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა შინაურ საქონელს მოვლა და ხმარება. ლექციები ან გიმნაზიაში იქნებაო და ანუ ჩვენი ქალაქის რჩევის ზალაში. შესვლის ფასი თითო ლექციაზე თითო აბაზი არის დანიშნული.

*** ჩვენ ვნახეთ ამ დღეებში ერთი ძველი ქართული ხელ-ნაწერი წიგნი ბაიოზ არხიეპისკოპოსის (ნაცვლიშვილის) დაწერილი; ამ წიგნიდამ სჩანს, რომ ეს ჩვენი გრამატიკოსს სამზღვარ გარეთ უმოგზაურია; წიგნში, სხვათა შორის, პარიჟი არის აწერილი.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორი, 30 ოქტომბერს. ღვინობისთვის 7-ს შემთხვევით მამიზდა გავლა ს. ბრეთში; დავინახე ერთს ალაგს ბლომათ შეკრეფილნი ხალხი, მივედი სანახავათ, გამეგო რა ამბავია და გავიგონე ფრიად სასიამოვნო შემდეგი ამბავი:

ქ. ავალიშვილის სახლთან იყვნენ შეკრებილნი ბრეთის საზოგადოების გლეხნი, და აზნაურნი. ავალიშვილები და მღვდელი უქადაგებდენ გლეხებს კეთილი საქმესა, გამართონ შკოლა, ბურის მაღაზია ანუ ბანკი, გულ მტკივნეულათ ურჩევდნენ, რომ ნუ დაგდებენ თავიანთს შვილებს უსწავლელებს.

მოთავობა ამ შეკრებისა ყოფილა ქ. და პ. ზ—მე ავალისშვილებისა; ამათ რომ დაასრულეს ლაპარაკი, შემდეგ წარმოსდგა წინა იქაური მოძღვარი ი. ედილოვი და ხელ გაშლილი ღმერთს ეფიცებოდა, და არწმუნებდა რომ დიდათ სასარგებლოა თქვენის შვილებისთვის შკოლის გამართვაო, აიო, სწავლისაგან რა წარმოსდგება ხომ მხედამთ მე როგორი, ცხოვრება მაქვსო, როგორ ყველასაგან პატივცემული და დაჯილდოებული ვარო, მეც თქვენისთანა გლეხკაცი ვიყავიო და სწავლისაგან მივაღწიე ამ ალაგსო, ვიციო ამ ჩემს მოხუცებულებას პატივსა მცემთო და დამიჯერებთო, და ბევრი სხვა კეთილი გასაგონი სიტყვები წარმოსთქვა ამ კეთილმა სულმა.

ხალხი ისეთს გრძნობაში მოვიდნენ, რომ ერთ ხმათ დაიძახეს სურვილი და კიდევაც იმწავეს, დაადგინეს განჩინება.

უფ. ქ. ავალიშვილმა თავის სახლში ერთი ოთახი დაუთმო შკოლას, სინამ შკოლისათვის საკუთარ სახლს გამართავდეთო. ამაზედ გლეხებმა მადლობა გადუხადეს.

ამისთანა კეთილ-გონიერი და გულშემატკივარი აზნაურები და მღვდლები რომ იყვნენ ყველა ჩვენს სოფლებში, მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველგან შეიძლებოდა შკოლების გამართვა. ხალხს ესმის სწავლის საჭიროება და სარგებლობა; იმას მხოლოთ მრჩეველი და გზის მაჩვენებელი ეჭირება. თუ შკოლაც კარგ საფუძველზე გაიხსნა, თუ სოფლის შკოლებში სამშობლო ენაზედ ასწავლიან და, ერთის სიტყვით, ხალხი დაინახავს, რომ ის გამოსადეგია იმისათვის, უეჭველია, ის თავის ოფლით შეძენილ გროშებს არ დაზოგავს შკოლის გასახსნელად.

დამსწრე.

ბათუმი, 25 ოქტომბერს. ვინ არ იცის, რომ ჩვენში ყოველივე კეთილი საქმე ისე მძიმე ნაბიჯით მიდის წინ, როგორც ალმართზე ქართული ურემი! ყოველიფერს დიდის ნატვრით, დიდის სიხარულით, მხურვალის ენერგიით დაიწყობთ, მაგრამ ისე გეგონებათ, რომ ეს ბედი ჩვენ ქართველებს დასაწყისიდან მოუშორებლათ გვრგებია, რომ არაოდეს რიგიანად ბოლოს ვერ გავატანთ ამ ჩვენს მომავალ საბედნიერო საქმეებს; ეს ჩვენი დამლუპველი, საზოგადო საქმეში კერძობითი მტრობა და კუდაბზიკური თავ-მოყვარეობა თუ არ გამოვიჩინეთ, არ იქნება, რომ ისე რაიმე საზოგადო საქმეს ხელი მოვკიდოთ...

ბევრი მოელის, რომ ბევრი ტაშის კვრა მერგებაო, ზოგი ჰფიქრობს, საზოგადოებაში გამოვჩნდები და მადლობას დავიმსახურებო, და უფრო მომეტებული ჰფიქრობს, რომ გაზეთებში დაიწყებენ ჩემზე ქებას და წერას და ქვეყანაში გამოვჩნდები, რომ მეც ამნაირი ვინმე ვყოფილვარო. არა ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, ამნაირი აზრებით დაწყებული საქმე რამდენათ საფუძვლიანი და მომავლისათვის რამდენათ საბედნიერო იქმნება!?

ახლა ერთიც ეს არის: თუ თავისი კუდაბზიკურ თავმოყვარეობით წარმოდგენილი ფანტაზია მაინც ერთის მხრით დაიკმაყოფილა, მაშინ ხელმეორეს ეულლში თუ არა, ფიქრში მაინც, გაატარებს რომ „ახ! ერთი კიდევ ვინმე გამოჩნდეს და ამ საქმეს ბოლოს მოუღებდეთო! თითონ კი არაფერში შეეწეხებს თავს; და თუ ვერც ერთნაირათ დაიკმაყოფილა თავისი სულიერი თავმოყვარეობა, მაშინ თქვენი მტერი მიჰყვება და სულ ლანძღავს და აგინებს საზოგადოებასაც და საზოგადო საქმესაც. რა არის მიზეზი!? ის, რომ საზოგადოებას ის მაშინვე არ დაუკმაყოფილებია და ცამდი არ აუწევია იმისთვის, რომ იმას ერთი-ორი დღე საზოგადო საქმისათვის თავი შეუწუხებია.

ვაი საბრალოვ, ჩვენო საზოგადო საქმების ბედო, რომ შენი გადიების უმრავლესობა ამნაირი სულ მოკლეები არიან.

სწორეთ ამნაირისვე სათაურით მინდა დავიწყო ჩვენ ბათუმში, შკოლის გახსნის მიზნით, ქართული წარმოდგენების საქმე.

როდესაც ჩვენი სცენის მოყვარეებისაგან ამ კეთილშობილურ საქმე სხვა ითქვა სიტყვა, და სიტყვა იგი ხორციელი იქმნა, ვერ წარმოიდგენთ მაშინ თუ რა სიხარული და ალიაქოთი ჩამოვარდა, ზოგი რას აპირებდა და ზოგი რასა, ზოგი რას ჰკისრულობდა და ზოგი რასა, რომ ვინ მოსთვლის; ისე რომ ნახევარიც რომ შეესრულებინათ, ისიც საკმარისი იყო. მაგრამ დასაწყისი და ბოლო ისე გათავდა, როგორც ხოლმე ყოველთვის ჩვენში ამნაირი კეთილი საქმეები თავდება თითქმის იმნაირისვე მიზეზებით, რომლებიც ზემოთ ჩამოგითვალეთ.

ბააკეთეს სცენა; რამდენათაც ვიცით, იმაზე დახარჯული პირველსავე წარმოდგენაზე შემოვიდა და კიდევაც მოარჩენით. რამოდენიმე სუმაც გარეშე მოსული წარმომდგენლებისაგან იყო გამორთმეული იმ სცენის ქირაში (თუმც კი უფალი ქართული ტრუპპის რეჟისორი, გაზეთებში აცხადებდა, რომ შკოლას შევწირეთო (?) (რასაკვირველია, უფრო დატრაბახებისათვის); მერე ამ ფულიდამ იყო ნაყიდი წვრილმალი საქონლები ალლეგრისათვის, ამავე მიზნის სასარგებლოთ.

სულ, სულ ეს იყო ჩვენი სცენის მოყვარეების გაკეთებული საქმე. წარმოადგინეს მარტო ერთჯერ და ლატარეიაც უთამაშებლათ დარჩათ.

ამასთანავე არ შეგვიძლია დავფაროთ ის ხმები, რაც ჩვენამდი მოაღწია ამის შესახებ და იმედი გვაქვს, თუ ამაში შეცდომა მოგვდის, ამ შეცდომის გასწორებას ინებებენ.

ჩვენ შევიტყეთ, რომ ეს წარმოდგენები ყოფილა იმ მიზნით, რომ იმისაგან შემოსაელით გაიხსნას ქართული შკოლა, რომელშიაც პირველი-დაწყებითი სწავლა იქმნება ქართულ ენაზე, სადაც უნდა მიღებულ ყოფილიყვნენ შეძლების დაგვარ ყველა სარწმუნოების შვილები, სადაც უპირატესობა უნდა ჰქონოდა ქართულ ენასა.

მაგრამ ეს სიტყვები მინამდი დარჩენილა, მინამდის ყველასაგან უცოდნელათ დიდი ბობოლაებისაგან შემდგარს კომიტეტს შემოსავალ-გასავლის ანგარიში ჩაუბრია და ახლა ამბობენ, რომ იმ აზრს ფერი შესცვლია, და კიდევ ამბობენ, რომ მარტო ამ მიზეზით იყო, რომ ყველას გული აუცრუვდა და მიატოვეს კიდევაცაო...

ჩვენ გვაკვირვებს ამნაირი უხიაკი საქმეები! ნუთუ საზოგადო საქმეები საზოგადოებამ არ უნდა იცოდეს და დაკლეტილ კოლოფებში უნდა შეინახონ?!..

ვინ იტყვის, რომ ამისთანა საქმეებში წარჩინებული და გამოჩენილი პირების დახმარება და მონაწილეობის მიღება დიდ შემწეობას არ აძლევდეს; მაგრამ იმასაც ვინ არავინ იტყვის, რომ იმ წარჩინებულთ და გამოჩენილ პირებში თუ არ იქმნა ენერგია და საწყალი ხალხის ბედზე ზრუნვა, მაშინ, დაბრკოლების მიცემისა და საქმის საუკუნოთ გამოსალმების მეტი, არაფერი კეთდება, როგორც ჩვენში ამნაირი საქმების პირველი არ არის მაგალითი.

მაგრამ ამასთანვე იმასაც არ დავივიწყებთ, რომ ჩვენი სცენის მოყვარეები ამით ვერ იმართლებენ თავს. იმ საზოგადო საქმეზე, როდესაც იმას იმაში სრული მონაწილეობა და ხმაც ჰქონდა, რასაკვირველია; მაშინ იმათ შეეძლოთ, სცოდნოდათ ყოველივე საქმის წარმოება, და ერთი და ორი პირის ქეიფისათვის არ გაეხვიათ ეს საქმეები სუდარაში—საფლავში ჩასასვენებლათ...

რამდენათაც ჩვენ იმ საქმეებს კანჭებში უყურებთ, ეჭვი აღარ უნდა ვიქონიოთ, რომ, უხეიროთ დაწყების წყალობით, იმისი მომავალი არაფერი საბედნიერო იქმნება;—და დღევანდლამდინ შემოსული ფულით ვერ მიაღწევინებენ საქმეს თავის მიზანს; ამისათვის მეტათ არ დავთვლით, რომ ჩვენი სურვილი ამასთანავე არ გამოუცხადოთ ჩვენ სცენის მოყვარეებს:

რადგანაც ამ საქმეში მონაწილეობას ღებულობდნენ მარტო ქართველები და სომხები, ამისათვის პატივცემული მოთავის საშუალებით იმათ მოსთხოვონ ხსენებულ უცნაურ კომიტეტის მოთავეს მარტო თავიანთი სურვილით ჩამორთმეული სუმმა, და ამ სუმისთ ნახევარი ფული გარდასცენ რომელიმე ქართველ ღარიბ სტუდენტთაგანს და ნახევარიც რომელიმე სომხის ღარიბ სტუდენტთაგანს, რადგანაც ეჭვი არ არის, რომ მათგან ამითი შემწეობა უფრო სასარგებლო და სასიამოვნო იქნება, მინამც უიმისოთაც მსუქან ჯიბეში უსარგებლოთ ყოფნა.

ქრაზანა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ამ დღეებში გამოვა ვოდევილი

„მოდი და ენდეთ ქალსა!“

თხზულება მ. ზ. ჯორჯაძისა.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ, უმაღლესად დამტკიცებულის თავის წესდების § 16 ძალით აცხადებს, რომ ამ 1879 წლის მომავალ 15 ქრისტეშობისთვეს, 12 საათზე, ქ. თფილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, ნ. ყორღანოვის სახლში № 3, იქნება საზოგადო გასყიდვა, (ხელ-მეორედ ვაჭრობის დაუნიშნავად) იმ ქვემო-მოყვანილ პირთა უძრავ მამულებისა, რომელთაც, ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 მოთხოვნილების თანახმად, არ შემოუტანიათ თავის ვადაზე ფული ამ ბანკში დაგირავებულ მამულებისა:

ᲛᲐᲦᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ლუარსაბ ალექსანდრეს ძე—ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ადგილით $324\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი ქ. თფილისში, მეორე განყოფილების მე-11 უჩასტკაში. თავნი ვალი—6,097 მან. 14 კაპ. შემოსატანი გადასახადი—377 მან. 82 კაპ., სულ 6474 მან. 96 კაპ.

ᲡᲐᲤᲠᲝᲜᲝᲕᲘ, ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე—ერთ ეტაჟიანი სახლი ადგილით 146 ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, 2 განყოფილებისა მე-16 უჩასტკაში. თავნი ვალი 554 მან. 30 კაპ., გადასახდელი 35 მან. 62 კაპ., სულ 589 მან. 92 კაპ.

ᲢᲔᲠ-ᲛᲘᲙᲘᲠᲢᲘᲩᲘᲐᲜᲪ, ქრისტეფორე ნიკიტის ძე—სამ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, თან მიწა $634\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი თფილისის მე-2 განყოფილების 2 უჩასტკაში. თავნი ვალი 75,752 მან. 16 კაპ., გადასახდელი 4776 მან. 10 კაპ., სულ 80,528 მან. 26 კაპ.

ᲑᲣᲠᲓᲣᲚᲝᲕᲘ, ალექსანდრე სოლომონის ძე—ორი დუქანი ადგილით 600 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში, 2 განყოფილების მე-11 უჩასტკაში. თავნი ვალი 2,799 მან. 93 კაპ., გადასახდელი 188 მან. 95 კაპ., სულ 2,988 მან. 88 კაპ.

ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐ, ივლიტა დიმიტრის ასული—ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი მიწით 500 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისის გუბერნიის ქ. გორში, მთავარ ქუჩაზე. თავნი ვალი 9,333 მან., გადასახდელი 494 მან., სულ 9827 მან.

ᲮᲣᲚᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ, მარიამ ივანოვის ასული—ა) ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი, ბ) ორი სამ ეტაჟიანი დუქანი, ორი ორ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი და გ) თერთმეტი ერთ ეტაჟიანი ქვითკირის დუქანი ადგილით 276 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში ა) 1 განყოფილების მე-7 უჩასტკაში, ბ) ჩუღურეთში 2 განყ, 14 უჩასტკაში. თავნი ვალი 16,799 მან. 54 კაპ., გადასახდელი 875 მან, 60 კაპ. სულ 17,675 მან. 14 კაპ.

ᲭᲠᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, პროტოიერეი გრიგორი დავითის ძე—ერთ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ბაღით და ადგილით 4 დესიატინა. თფილისში, 2 განყოფილების მე-16 უჩასტკაში, ნავთლუღში. თავნი ვალი 1866 მან. 63 კაპ., გადასახდელი 127 მან, 80 კაპ., სულ 1994 მან. 43 კაპ.

ᲛᲘᲠᲣᲛᲝᲕᲘ, ოლანეზ სარქისის ძე—ორი ერთ ეტაჟიანი და ერთი ორ ეტაჟიანი სახლი, ადგილი $241\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში, 2 განყოფილების მე-14 უჩასტკაში, ავლაბარში. თავნი ვალი 3360 მან. 93 კაპ. გადასახდელი 263 მან. 40 კაპ., სულ 3,624 მან. 33 კაპ.

ᲙᲝᲠᲝᲚᲔᲜᲙᲝᲡᲘ, სოფიო კონსტანტინეს ასული—ერთ ეტაჟიანი დუქნიანი სახლი, ადგილი $27\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, 1 განყოფ. 1 უჩასტკაში, დავიდოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 377 მან. 1 კაპ., გადასახდელი 64 მან. 20 კაპ. სულ 441 მან. 21 კაპ.

ᲞᲐᲕᲚᲘᲔᲕᲘ, იაკობ სიმონის ძე—ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი, მიწა 72 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისში, 1 განყოფ. მე-5 უჩასტკაში, ნემეცების ქუჩაზე. თავნი ვალი 5,649 მან. 1 კაპ., გადასახდელია 451 მან. 99 კაპ., სულ 6,101 მან.

ᲐᲛᲐᲢᲣᲜᲘ, ნაპოლეონ ივანეს ძე—ორ ეტაჟიანი ქვითკირის სახლი ზედ მიშენებული შენობებით და მიწით $548\frac{1}{10}$ ოთხ-კუთხი საჟ. თფილისში, 1 განყოფილების მე-4 უჩასტკაში ველიამინოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 51,849 მან. 81 კაპ., გადასახდელია 3,552 მან. 80 კაპ., სულ 55,502 მან. 61 კაპ.

ᲙᲣᲖᲛᲘᲜᲘ, ლავრენტი კუზმას ძე—ერთ ეტაჟიანი სარდაფიანი სახლი, მიწა $127\frac{1}{2}$ ოთხ-კუთხი საჟენი. თფ[illegible]ში, 2 განყოფილების მე-11 უჩასტკაში, ავჭალის ქუჩაზე. თავნი ვალი 390 მან. 73 კაპ., გადასახდელია 36 მან. 8 კაპ., სულ 426 მან. 81 კაპ.

ᲔᲠᲘᲡᲗᲐᲕᲘ, გიორგი გიორგის ძე—სახნავ-სათესი და საბალახე ადგილები 243 დესიატინა და 1263 ოთხ-კუთხი საჟენი. თფილისის გუბერნიის თელავის უეზდში, ქისტაურში. თავნი ვალი 7,893 მან. 82 კაპ., გადასახდელი 356 მან. 20 კაპ., სულ 8250 მან. 2 კაპ.

ᲐᲕᲐᲚᲝᲕᲘ, ივანე ზაალის ძე—სახნავი და სამოსახლო ადგილი 151 დესიატინა და 300 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ. გორის უეზდში, სოფ. ბრეთში. თავ. ვალი 8,905 მან. 86 კაპ., გადასახდელი 398 მან. 60 კაპ., სულ 9,304 მან. 46 კაპ.

ᲨᲐᲢᲑᲔᲠᲝᲕᲘᲡᲐ, ლიუდმილა ათანასეს ასული—ერთ ეტაჟიანი სახლი ბაღით სახნავი და საბალახე ადგილები $81\frac{1}{2}$ დესიატინა 1000 ოთხ-კუთხი საჟ. თფ. გუბ გორის უეზდში, სოფ. ხაშურში. თავნი ვალი 994 მან. 92 კაპ., გადასახდელი 76 მან. 60 კაპ., სულ 1071 მან. 52 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგინოვი, მიხეილ პაატას ძე—სახნავი მიწა და ტყე 2704 დესიატ. 420 ოთხ-კუთხი საჟ. Თფ. გუბ. Თელავის უეზდში, სოფ. Ახალ დაბას, ზემო-ხოდაშენს და Ახშაანში. Თავნი ვალი 13,822 მან. 21 კაპ., გადასახდელი 592 მან. 8 კაპ., სულ 14,414 მან. 29 კაპ.

დოდაევისა, Თამარ Ალექსანდრეს ასული—სახნავ-სათესი მიწა და ტყე 1020 დესიატ. და 1920 ოთხ-კუთ. საჟ. Თფ. გუბ. Თელავის უეზდში, სოფ. ზემო-ხოდაშენთან. Თავნი ვალი 8,688 მან. 21 კაპ., გადასახდელი 378 მან. 46 კაპ., სულ 9066 მან. 67 კაპ.

ერისთავი, Გიორგი Გიორგის ძე—სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები და ტყე, 800 დესიატ., Თფ. გუბ. Თიონეთის უეზდში, სოფ. Ბოჩორმაში. Თავნი ვალი 4746 მან. 77 კაპ., გადასახდელი 214 მან. 16 კაპ., სულ 4960 მან. 93 კაპ.

კვეზერელისა, Ელისაბედ Დავითის ასული (მყოფი Გედევანოვისა)—სახნავი, საბალახე და სათიბი ადგილები 111 დესიატ. 1560 ოთხ-კუთ. საჟ. Თფ. გუბ. Თფ. უეზდში, სოფ. მუხათ-Გვერდში. Თავნი ვალი 988 მან. 86 კაპ., გადასახდელი 58 მან. 9 კაპ., სულ 1,046 მან. 95 კაპ.

ციციშვილი, Დავით Ივანეს ძე—სახნავი და საბალახე ადგილები, 12 დესიატინა 1440 ოთხ-კუთხი საჟ. Თფ. გუბ. Გორის უეზდში, სოფ. Თორთიზას. Თავნი ვალი 297 მან. 52 კაპ., გადასახდელი 29 მან. 35 კაპ., სულ 326 მან. 87 კაპ.,

თარხან-მოურავოვისა, მარიამ Ბიძინას ასული. Სახნავი და სათიბი ადგილები და ტყე, 545 დესიატ. 1645 ოთხ-კუთ. საჟ. Თფ. გუბ. Გორის უეზდში სოფ. Ცხოველს. Თავნი ვალი 6,645 მან. 80 კაპ., გადასახდელი 292 მან. 23 კაპ., სულ 69,38 მან. 3 კაპ.

ამილახვარი, Ამირინდო Ამირინდოს ძე. Სახნავ-სათესი ადგილები, 145 დესიატ. 1756 ოთხ-კუთ. საჟ. Თფ. გუბ. Გორის უეზდში, სოფ. Ნაწრეტს. Თავნი ვალი 2,975 მან. 74 კაპ., გადასახდელი 140 მან. 20 კაპ., სულ 3115 მან. 94 კ.

ანდრონიკაშვილი, ზაქარია Იესეს ძე. Სახნავი, სათიბი, საბალახე ადგილები და წვრილი ტყე, 15,000 დესიატინა. Თფ. გუბ. Თფ. უეზდში, სოფ. Ლომბალოსთან. Თავნი ვალი 59,514 მან. 87 კაპ., გადასახდელი 3,587 მან. 50 კაპ., სულ 63,102 მან. 37 კაპ.

მაღალაშვილისა, Ნინო Სარდიონის ასული. ზვარი 6 დესიატ. Თფილისის გუბ. Სიღნაღის უეზდში, სოფ. Ბაკურციხეს. Თავნი ვალი 1,700 მან., გადასახდელი 89 მან. 8 კაპ., სულ 1789 მან. 8 კაპ.

ამატუნი, Ნაპოლეონ Ივანეს ძე. ზვარი, 2 დესიატ. 90 ოთხ-კუთ. საჟ. Თფ. გუბ. Სიღნაღის უეზდში, სოფ. Ქარდანახში. Თავნი ვალი 2,000 მან., გადასახდელი 70 მან., სულ 2070 მან.

გაბაშვილი, Ნიკოლოზ Მიხეილის ძე. Ორი ვენახი და სახნავი ადგილები, 14 დესიატ. 2260 ოთხ-კუთხი საჟ. Თფ. გუბ. Თფ. უეზდში, სოფ. Ერთისთან. Თავნი ვალი 1,000 მან., გადასახდელი 59 მან. 40 კაპ., სულ 1059 მან, 40 კაპ.

ვაჩნაძე, Ივანე Ბაადურის ძე. Ორი ვენახი, 2 დესიატინა 2021 ოთხ-კუთხი საჟ. Თფ. გუბ. Სიღნაღის უეზდში, სოფ. Ბაკურციხეში. Თავნი ვალი 1,000 მან., გადასახდელი 42 მან. 74 კაპ., სულ 1042 მან. 74 კაპ.

კომხაძე, Მიხეილ Გიორგის ძე. Ვენახი, 1 დესიატინა. Თფ. გუბ. Გორის უეზდში, სოფ. ზემო-ხანდაკთან. Თავნი ვალი 300 მან, გადასახდელი 29 მან. 72 კაპ., სულ 329 მან. 72 კაპ.

ეგოროვი, Ივანე Ივანეს ძე. Ვენახი, 678 და 82 ოთხ-კუთხი საჟენი. Თფილისში, 2 განყოფილების მე-10 უჩასტკაში, Წყლის-პირა ქუჩაზედ. Თავნი ვალი 2,000 მან., გადასახდელი 101 მან. 80 კაპ., სულ 2101 მან. 80 კაპ.

სტეფანოვი, Გეურქ Პავლეს ძე (ახლა Ციციშვილისა). Შდაბური ადგილი, 300 ოთხ-კუთხი საჟენი Თფილისში, 2 განყოფ. მე-11 უჩასტკაში. Თავნი ვალი 1,200 მანეთი, გადასახდელი 171 მან. 24 კაპ. სულ 1371 მან. 24 კაპ.

ქარუმიძე, Ივანე Პაატას ძე. Სახნავი ადგილები, 34 დესიატინა 1320 ოთხ-კუთხ. საჟ. Თფ. გუბ. Გორის უეზდში, სოფ. Თიხთიხას. Თავნი ვალი 900 მან. გადასახდელი 126 მან., სულ 1026 მან.

Ვაჭრობა, თანახმად წესდების § 19-სა, დაიწყება ზემო მოყვანილის ვალის ჯამიდამ, რომელსაც მიემატება რაც ამ მამულზედ სახელმწიფო და საერო გადაუხდელი ხარჯი არის. Თავნი ვალი Ბანკისა შეიძლება ამავე Ბანკის გირაოს ფურცლებით (ზაკლადნი ლისტებით) იქნეს შემოტანილი მანეთში მანეთი იმათ ნომინალურ ფასისა; შეიძლება აგრეთვე, რომ ეს თავნი ვალი, Ბანკის Გამგეობის თანხმობით, გადატანილ იქმნეს მყიდველზედ; დანარჩენი გადასახადი რაც არის, ის კი ნაღდ ფულად უნდა იქმნეს Ბანკში შემოტანილი.

Თუ ვინიცობაა დანიშნულს ვადაზედ, ე. ი. ამ 1879 წლის 15 დეკემბრის არ გაიყიდა ზემო აღნიშნული მამულები, ამ შემთხვევაში, Ბანკის წესდების § 22 ძალით, დანიშნება მეორე და უკანასკნელი ვაჭრობა ამავე 1879 წლის 29 დეკემბრისათვის.

(3—2)

---

25 მანეთი საჩუქარი

Ვინც იპოვნის და წარმოადგენს შემდეგ დაკარგულ ნივთებსა: ერთ წყვილ ოქროს ზაპონკებს, რომელშიაც გაკეთებულია ქალის პარტრეთების მედალიონი, ნიშნის ბეჭედს და პერანგის ზაპონკებს. Ყველა ეს ნივთები ჩაწყობილია წითელი ტყავის ყუთში.

Მპოვნელს ვთხოვთ მოიტანოს სოლოლაკში, Პეტრე Აბესალომის ძის Ბებუთოვისას.

(2—2)

Კნიაზ Იოანე Კოსტანტინეს ძე Ბაგრატიონ-მუხრანსკი აუწყებს საზოგადოდ ცნობად, რომ სავაჭრო სახლი წოდებით **„კნიაზ იოანე კოსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი** და კ-“ შედის მოქმედებაში 1-ს ნოემბერს ამა 1879 წლისას.

Კანტორა სავაჭრო სახლისა იხსნება ქ. Თფილისს, რუსის Ბაზარში, სახლი № 10.

(3—3)

დედანი

(პროპისი) სურათებით

შედ. Ან. Ჯუღელისაგან

Გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

Თ ბ ი ლ ი ს ს: ჩარკვიანის, Ვართანოვის და Გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში,

Ქ უ თ ა ი ს ს: სასულიერო სასწავლებელში და Ანტ. Ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი: სასულიერო სასწავლებელში Დ. Სუჯუნას Თოფურიძის ლუქანში და Აბაშაში უფ. Ანტ. Ქეკელიასთან შკოლაში,

Ო ზ უ რ გ ე თ ს: სასულიერო სასწავლებელში,

ხ ო ნ შ ი: Უფ. Ჭალაგანიძესთან,

Გ ო რ ს: სასულიერო სასწავლებელში,

Თ ე ლ ა ვ ს: სასულიერო სასწავლებელში და Ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

ს ი ღ ნ ა ღ ს: Უფ. Კ. Ბალაშვილთან.

Ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

Ყველა წიგნების მაღაზიებში Თფილისში და Ქუთაისში

ისყიდება

თამარ ბატონიშვილი

ხუთ-მოქმედებიანი დრამა

გადმოკეთებული Კ. მესხისაგან

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Нолбръ 1879 г. Типографія Меликова. Გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი